პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 131 (11135) | ოთხშაბათი 11 ივნისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დაუცხრომლად განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინა

ჩვენი პარტია მსოფლიოში ყველაზე მტკიცე და ძლიერი პარტიაა. იგი საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდეს წარმატებებს აღწევენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. პარტიის XX ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელება მოითხოვს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი სახელოვანი ისტორიის მთელ მანძილზე უდიდეს ყურადღებას აქცევდა დისციპლინის განმტკიცების, მინდობილი საქმისათვის კომუნისტების, ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხებს. ვ. ი. ლენინს არაერთგზის ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ კომუნისტური პარტიის ძალაა ნებისყოფის ერთიანობა, მოქმედების ერთიანობა, დისციპლინის ერთიანობა.

ახორციელებენ რა დიდი ლენინის მითითებებს, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები დაუცხრომლად აუმჯობესებენ კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, განამტკიცებენ პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას. ამის შედეგად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიის წევრთა აქტივობა, მათი ავანგარდული როლი წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გაძლიერდა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელ კადრებს, ყველა კომუნისტს ზრდიან პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ურყევად დაცვის სულისკვეთებით.

პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 24 აპრილის ბრძანებულებას. ამ ბრძანებულებით დაწესებულია, რომ საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ან სხვა თანამდებობის პირთა მიერ სხვა ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების ან მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, აგრეთვე საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების შეუსრულებლობა წარმოადგენს სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევას და იწვევს დისციპლინარულ, მატერიალურ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

რას ნიშნავს პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ურყევად დაცვა? ეს ნიშნავს — ყველაფერში მაღლა დააყენო პარტიის, ხალხის ინტერესები, უზრუნველყო სახელმწიფო გეგმების და დავალების დროზე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. კომუნისტი, და მით უმეტეს ხელმძღვანელი მუშაკი, მუდამ და ყველაფერში პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესების საგუშაგოზე უნდა იდგეს.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა საკითხი პარტიის ზესტაფონის რაიკომისა და რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ და ამხილა მათს საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები. როგორც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, რაიონში განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ საკოლმეურნეო წარმოებას. მიღებული არ არის ზომები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესასრულებლად, რის შედეგად სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგები თავმინებებული და ჩამორჩენილია. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მევენახეობის ჩამორჩენა, რომელიც რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენს.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. შარშან სამუალოდ თვითეულ ძროხაზე მიღებულ იქნა 703 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 720 კილოგრამისა. ძალიან ძვირე რაოდენობით იღებენ მეცხოველეობის პროდუქტებს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე. მეცხოველეობის ასეთი შეუწყნარებელი ჩამორჩენის მიზეზია ის, რომ კოლმეურნეობებში შექმნილი არ არის მტკიცე საკვები ბაზა.

უკანასკნელ წლებში აგროტექნიკური წესების უხეშად დარღვევის შედეგად ერთხელაც არ შესრულებულა სიმინდის მოსავლიანობის გეგმა. მაგალითად, 1957 წელს სამუალოდ ჰექტარზე მიღებულია 8,4 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა. რაიონის 41 კოლმეურნეობიდან 31-ს არ შეუსრულებია სიმინდის მოსავლიანობის დავალება.

პარტიის რაიკომი და რაიონული საბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მტკიცედ დაცვისათვის, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. შარშან თვითეულმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ სამუალოდ მხოლოდ 137 შრომადღე გამოიმუშავა.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ზესტაფონის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების ერთი ნაწილი, მათ შორის რაიონული საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ამხ. გ. არევაძე და პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შ. ხიდაშელი, ფორმალურად, პასიურად ეკიდებოდა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, არ იჩენდა აქტივობასა და სიმტკიცეს მათი განხორციელებისათვის ბრძოლაში, არ წუხდა იმის გამო, რომ საქმე ცუდად მიდის და ამით ხალხის, სახელმწიფოს ინტერესები ზიანდება. ასეთი ფაქტების მოთმენა შეუძლებელია. პარტია კომუნისტებისაგან, პირველ რიგში ხელმძღვანელი კადრებისაგან, მოითხოვს პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის მტკიცედ დაცვას, სახელმწიფოს წინაშე თავიანთი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას.

გამოამჟღავნა რა პარტიის ზესტაფონის რაიკომისა და რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის ნაკლოვანებები, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება დიდი პრინციპული მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც ჩვენს ხელმძღვანელ კადრებს, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს დაუცხრომელი ბრძოლა გააჩაღონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცება.

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ფიქრობენ, რომ პარტიული გადაწყვეტილებები და საბჭოთა კანონები მათთვის როდია სავალდებულო. ასეთ მუშაკებს წარმოუდგენიათ, რომ ჩვენს პარტიაში ორი დისციპლინაა: ერთი რიგითი ადამიანებისათვის, ხოლო მეორე — ხელმძღვანელებისათვის. მაგრამ დისციპლინისადმი ასეთ ბატონყაცურ დამოკიდებულებას პარტია სასტიკ ბრძოლას უცხადებს. სწორედ ასეთ მუშაკს მოგვაგონებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოხსენიებული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი ლ. მაღლაკელიძე. იგი ბოროტად სარგებლობდა სამსახურებრივი მდგომარეობით და მშრომელთა საჭიროებებისათვის ზრუნვის ნაცვლად თავის პირად საქმეებს აწყობდა. პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცების, პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველდღიურად ზარდონ კომუნისტები პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ურყევად დაცვის სულისკვეთებით. ეს უზრუნველყოფს მინდობილი საქმისათვის პარტიის წევრთა პასუხისმგებლობის გადიდებას, პარტიული მასების აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ აღმავლობას, ხელს შეუწყობს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინგლისის იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჯგუფი, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან

1958 წლის 10 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სასუბროდ მიიღო ინგლისის იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჯგუფი, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან. ჯგუფში, რომელიც მოსკოვში იმყოფება, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით, შედიან: მშვიდობის მომხრეთა კავშირის გენერალური მდივანი სტიუარტ მორისი, წარმომადგენელი ასოციაციისა „მეცნიერნი მშვიდობის დასაცავად" ფრედერიკ ლე გრო კლარკი, მშვიდობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე უილიამ სიმპსონი, მეგობართა — კვაკერთა საზოგადოების მშვიდობის დაცვის კომიტეტის გენერალური მდივანი ერიკ ტაკერი, შერიგების საზოგადოების გენერალური მდივანი მაკსველ პარკერი, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ქალთა საერთაშორისო ლიგის ინგლისის განყოფილების აღმასკომის წევრი დორის განდრი და ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მდივანი როი გორა.

საუბარმა გულწრფელ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრნენ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე ლ. კ. მაკარჩენკოვი და კომიტეტის წევრი პ. ა. ვიშნიაკოვი.

(საკდესი).

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ 1958 წლის 1 აპრილს მიიღეს დადგენილება მიმდინარე წელს მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგების მუშათა და მოსამსახურეთა შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ.

ამ დადგენილების შესაბამისად განხორციელდება ქვანახშირისა და ფიქალის მრეწველობის საწარმოთა და საცდელ წარმოებათა, ფერადი და შავი მეტალურგიის საწარმოთა, მანქანათაშენებელი ქარხნების მეტალურგიულ საამქროთა, ქიმიური მრეწველობის საწარმოთა, ცემენტის ქარხნების, რკინაბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა წარმოების, აზბესტის, ქარსის, გრაფიტის, ოზოკერიტის, მარილებისა და სხვ. მოპოვების საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეების შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანა და ამავე დროს მოწესრიგდება მათი ხელფასი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა საბჭოებს, ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ პროფკავშირულ კომიტეტებს განუმარტონ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ მიღებული დადგენილების დიდი მნიშვნელობა.

(საკდესი).

მექანიზებულ ფერმაში

სარეთიბალის მე-19 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში ჯარასავით ტრიალებენ საქმეში გართული თეთრხალათიანი გოგონები, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავიდნენ კოლმეურნეობაში. კომკავშირელმა თებრონე გოგოჭურმა 1957 წელს წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა. ახლა ის მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს. მან შარშან 14 ძროხაზე 25.917 ლიტრი რძე მიიღო, რითაც გეგმას 5.917 ლიტრით გადააჭარბა. წელს თვითეულ ძროხაზე გეგმით 1.900 ლიტრი რძე უნდა მიიღოს.

* * *

ხურათზე: საგარეჯოს რაიონის სოფელ სარეთიბალის კოლმეურნეობის ფერმის მოწინავე მწველავი კომკავშირელი თ. გოგოჭური.

ფოტო გ. გოგობიასი.

რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციები მუშაობას შეუდგნენ

მაიაკოვსკის რაიონი

თესვის გაცხარებული დღეები იდგა. სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში საკუთარი ტექნიკით სიმინდს თესავდნენ.

მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსი ა. ყიფიანი და მთავარი აგრონომი ა. ფოჩხიძე კოლმეურნე მექანიზატორებს სამუშაოს ადგილზე გაეცნენ.

მართალია, თესვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ტრაქტორებიც შეუფერხებლად მუშაობდნენ, მაგრამ თესავდნენ უკონდიციო თესლს, ამასთან აგროტექნიკური წესების დარღვევით. რაიონული ინსპექციის ხელმძღვანელებმა მექანიზატორებს ადგილზე შენიშვნა მისცეს. ეს შენიშვნები დიმელმა მთესავებმა მიიღეს და ნაკლი იმავე დღეს გამოასწორეს. ინსპექციის მუშაკები ამ კოლმეურნეობაში მთელ დღეს დარჩნენ, მეურნეობის სხვა დარგებსაც გაეცნენ, ესაუბრნენ გამგეობის წევრებს, კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებს და ადგილზევე მიიღეს ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სოფლის მეურნეობის ინსპექციამ ამ დღეებში გამართა სპეციალისტთა რაიონული თათბირი, რომელზეც განიხილეს „მრავალწლიანი ნარგავებისა და ნათესების მოვლა-დამუშავებისა და დაცვის შემდგომი გაუმჯობესების", „კოლმეურნეობის მიერ ახლად შეძენილი ტექნიკის მოვლა-პატრონობის" საკითხები.

სოფლის მეურნეობის ინსპექცია ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას. რაიონული საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას სოფლის მეურნეობის ინსპექციასთან საწარმოო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც შეყვანილ უნდა იქნან რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. მაგრამ ამ მხრივ ჯერ არაფერი გაკეთებულა.

რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციამ მუშაობის მოწოდების დონეზე დაყენებით ხელი უნდა შეუწყოს მაიაკოვსკელთა მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

ლ. ლოლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გარეჯის რაიონი

ახლა გარეჯის რაიონის კოლმეურნეობებში მიმდინარეობს სათოხნი კულტურების ნათესების დამუშავება, მოსავლის აღებისათვის მზადება და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ასეთ ვითარებაში შეუდგა მუშაობას რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექცია.

ინსპექციის უფროსი ბ. ლაშხი, მთავარი აგრონომი ვ. ჭანკოტაძე, მთავარი ზოოტექნიკოსი ს. გაბისონია, მთავარი ვეტექიმი შ. მამაიაშვილი, დარგების რამდენიმე აგრონომი პასუხისმგებელი არიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობისათვის.

ისინი იმუშავებენ ღონისძიებებს მოწინავე მეთოდების წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის.

— დასამალავი როდია, —ამბობს ამხ. ლაშხი, — რომ ზოგი კოლმეურნეობა პამიდორს მანქანებით არ რგავდა. ასე იყო მარტყოფის ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. ინსპექციის აგრონომების მიერ მიღებული ზომების შედეგად ამ კოლმეურნეობებმა მანქანებით დარგეს სამ-სამი ჰექტარი პამიდორი.

ინსპექციამ პირველი ნაბიჯები გადადგა მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საკითხების შესასწავლად. ამ დღეებში მიწათმოწყობმა ა. ხეთერელმა გამოარკვია, რომ სამგორწყალმშენის მეხუთე უბანში მომუშავეებმა ნაცვლიშვილმა, ცერცვაძემ და ხიდეშელმა მოხნული ნაკვეთები მიიტაცეს, კარტოფილი და ხახვი დათესეს. მიწათსარგებლობის წესი ირღვევა კოჯორშიც. ახლა ინსპექცია ზომებს იღებს ასეთი ფაქტების აღსაკვეთად.

სოფლის მეურნეობის ინსპექციის მუშაკები სახავენ ღონისძიებებს სათოხნი კულტურების დამუშავების აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის, სწავლობენ მოსავლის აღებისათვის მზადების მდგომარეობის საკითხს რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე განსახილველად. ეს საკითხი აგრეთვე უნდა განიხილოს საწარმოო-ტექნიკურ საბჭოს. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დღემდე არ არის შექმნილი.

კოლმეურნეობებში თავმოყრილი დიდძალი ტექნიკის სრულყოფილად გამოყენებისათვის საჭიროა კონტროლის გაძლიერება. ამ მიზნით ინსპექციის მუშაკები წინადადებას აყენებენ საბჭო ერთეულში გათვალისწინებულ იქნას ინჟინერ-მექანიკოსის თანამდებობა.

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის აუცილებელია ინსპექციის მუშაობა უფრო მიეუახლოოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, გავხადოთ იგი მოქნილი და ოპერატიული.

ნ. ჯანჯღავა,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

ამას წინათ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა პარტიის ზესტაფონის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობის საკითხი და მათ საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები გამოაშკარავა. რაიონში მეტად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობა, რის შედეგადაც უყურადღებოდ მიტოვებულია სოფლის მეურნეობის მთელი რიგი წამყვანი დარგები.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგის — მევენახეობის მდგომარეობა. 1954 წელთან შედარებით ვენახების ფართობი (ახლად გაშენებული ვენახების ჩათვლით) შემცირდა 278 ჰექტარით, აქედან 62,8 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი იყო. ამავე პერიოდში მოსავლიანობა ჰექტარზე 7.5 ცენტნერით შემცირდა. მაგალითად, შარშან ჰექტარზე მიღებულ იქნა 47,5 ცენტნერი უურძენი, მაშინ როცა გეგმა 55 ცენტნერს ითვალისწინებდა.

რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში არ სრულდება ახალი ვენახების გაშენების გეგმები და თითქმის არავითარი მუშაობა არ წარმოებს ვენახების სიმეჩხრის წინააღმდეგ საბრძოლველად, დაღუპული ვენახების აღსადგენად. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სადედე-სანერგე მეურნეობის მტკიცე ბაზის შექმნას.

რაიონში არის ისეთი კოლმეურნეობები და ცალკეული ბრიგადები, რომლებიც უურძნის უხვ მოსავალს იღებენ. მაგრამ საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეთა გამოცდილება სუსტად ვრცელდება.

რაიონში უყურადღებოდ მიტოვებულია ჩაის პლანტაციები. ცუდი მოვლის შედეგად უკანასკნელ წლებში 158 ჰექტარი პლანტაციები დაიღუპა. ჩაის მოსავლიანობას სამუალოდ ჰექტარზე 220 კილოგრამზეა ვარ გადაუვარბია.

აგროტექნიკის უხეშად დარღვევის შედეგად რაიონის კოლმეურნეობები სიმინდის მცირე მოსავალს იღებენ. 41 კოლმეურნეობიდან ამ კულტურის მოსავლიანობის გეგმა 31 კოლმეურნეობას არ შეუსრულებია. ამასთან წელს დაშვებულ იქნა სიმინდის ფართობების შემცირება

რაიონში საკმაო ყურადღება არ ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას — არ შეუსრულებიათ ძროხის და ფრინველის სულადობის გეგმა. დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა, პირუტყვის სიკვდილიანობა დიდია.

რაიონის კოლმეურნეობებში სუსტია შრომის დისციპლინა, ცუდად არის ორგანიზებული შრომა, არის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტები. პარტიის რაიკომი, რაიაღმასკომი, კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ურიგდებიან ამ ნაკლოვანებებს, არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს მათი აღმოფხვრისათვის.

1957 წელს რაიონს არ შეუსრულებია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების — ხორცის, რძის, კვერცხის, უურძნის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს დამზადება წელსაც. სერიოზული ნაკლოვანებებია საგაზაფხულო სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში.

არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებს სამრეწველო საწარმოთა მუშაობას. ფეროშენადნობთა ქარხანაში იყო პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები. ქარხნის დირექტორი ლ. მაღლაკელიძე სარგებლობდა სამსახურებრივი მდგომარეობით და თავის პირად საქმეებს აწყობდა, არ ზრუნავდა მშრომელთა საჭიროებებისათვის. იგი მოხსნილია სამუშაოდან და გარიცხულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან. საწარმოში საკმაო ყურადღება არ ექცევა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებას, წარმოებაში უსაშიშრობის ტექნიკის დაცვას.

მილიციისა და პროკურატურის ორგანოები. რაიონის საზოგადოებრიობა ცუდად ეწევიან ბრძოლას ღვინის ფალსიფიკაციის, სპეკულაციის, ხულიგნობის წინააღმდეგ. სავაჭრო ქსელში აღმოფხვრილი არ არის საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები. სავაჭრო ორგანიზაციებში კვლავ მუშაობენ ადამიანები, რომლებიც ნდობის ღირსი არ არიან.

რაისაბჭოს აღმასკომში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობა. იშვიათად იწვევენ სესიებს, მუდმივი კომისიების მუშაობა მოდუნებულია. არის მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტები. რაისაბჭოს აღმასკომი სუსტად ხელმძღვანელობს სასოფლო საბჭოების მუშაობას. მოგვარებული არ არის მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. აღმასკომი განზე უდგას სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას. იგი ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენს სახაჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი.

პარტიის რაიკომის ბიურო ცუდად წარმართავს პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობას უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის. აღმოფხვრილი არ არის ნაკლოვანებანი კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა და მიიღო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პარტიის ზესტაფონის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობისა არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრა.

საჭიროა პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მკვეთრად გაუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობა, გულდასმით შეისწავლონ თვითეული კოლმეურნეობის ეკონომიკა და დასახონ ღონისძიებანი მათი შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მევენახეობის განვითარებას. ამოცანა ის არის, რომ 5 წლის განმავლობაში გაშენდეს სულ მცირე 1.000 ჰექტარი ახალი ვენახები, ხოლო უახლოეს 2-3 წელიწადში მთლიანად აღდგენილ იქნას დაღუპული ვენახები და მიღებულ იქნას ღონისძიებანი პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის.

პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი მოვალენი არიან უზრუნველყონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის წარმატებით განვითარება, გაუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, განამტკიცონ შრომის დისციპლინა, გაძლიერონ ბრძოლა იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობას. საჭიროა მოღებულ იქნას გადაუდებელი ღონისძიებანი კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა, ბრიგადირთა და მეცხოველეობის ფერმების გამგეთა შემადგენლობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობებისადმი. მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. წესრიგი დაამყარონ სავაჭრო ქსელში. გაძლიერონ ბრძოლა სპეკულაციასთან და საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დარღვევებთან.

საჭიროა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა ღრმად შეისწავლოს რაიონის ცხოვრების საარსებო საკითხები, გააძლიეროს კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, გაუმჯობესოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, გააქტიუროს დეპუტატების საქმიანობა, პერიოდულად მოაწყოს მათი ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე, გამოაცოცხლოს მუდმივი კომისიების მუშაობა, ყურადღებით მოეკიდოს მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს.

აუცილებელია პარტიის რაიკომმა გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი საბჭოთა ორგანოების საქმიანობისადმი, განამტკიცოს და გაძლიეროს მათი როლი და პასუხისმგებლობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში, გაუმჯობესოს ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი, მიაღწიოს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებას, გაძლიეროს კომუნისტთა პასუხისმგებლობა დავალებული საქმისათვის.

ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში რაიონს საქმიანი, პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ადგილობრივი მეურნეობის რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და სხვა ორგანიზაციებმა. ნავარაუდევია რაიონში საჭირო რაოდენობით შეტანილ იქნას სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მინერალური სასუქები, შესრულდეს მუშაობა თვითეულ კოლმეურნეობაში ვენახების ფაქტიური ფართობის დასაზუსტებლად. ნავარაუდევია აგრეთვე უახლოეს ხანში დამთავრდეს ღვინის № 2 ქარხნის მშენებლობა. აღდგენილ იქნას 1958 წლიდან „სვირის" მარკის ღვინოების გამოშვება, დაჩქარდეს ქალაქ ზესტაფონში კულტურის სახლის აგება. აშენდეს 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. შესწავლილ იქნას და გადაწყდეს წყალსადენის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საკითხი.

ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. არევაძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან, რადგან თავი ვერ გაართვა სამუშაოს.

პარტიის რაიკომის მდივანს შ. ხიდაშელს გაფრთხილება მიეცა, რომ თუ უახლოეს ხანში სათანადო დასკვნები არ გააკეთა და მუშაობა არ გაუმჯობესა, მის მიმართ მიღებულ იქნება უფრო მკაცრი ზომები.

მოსკოველი ქალების შეხვედრა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის IV კონგრესის დელეგაციებთან

ამას წინათ ვენაში მუშაობა დაამთავრა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის IV კონგრესმა. მან განიხილა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის საკითხები და დასახა მშვიდობისათვის შემდგომი ბრძოლის გზები.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის IV კონგრესის შედეგებს მიეძღვნა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ქალების შეხვედრა კონგრესის დელეგატებთან, რაც მოეწყო 9 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ქალები — სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სტუდენტები, მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეკრებილნი მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ კონგრესის საბჭოთა დელეგაციის წევრებს, აგრეთვე 15 ქვეყნის — ავსტრალიის, ბრაზილიის, კანადის, არგენტინის ტუნისის, კამერუნის, ხენეგალის, საურანგეთის, სუდანის, ცეილონისა და სხვა ქვეყნების ქალთა მოძრაობის წარმომადგენლებს, რომლნიც მოსკოვს ჩამოვიდნენ საბჭოთა ქალების კომიტეტის მოწვევით. გაისმის შეძახილები „მეგობრობა!" „მშვიდობა!", „მშვიდობა და მეგობრობა!".

პრეზიდიუმის მაგიდასთან გამოჩნდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელმწიფოს ხელმძღვანელები ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი. ნ. ა. მუხიტდინოვი. ე ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი. ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი. დარბაზი მჭეხარე ოვაციით შეხვდა მათ. ყველა შეკრებილნი ფეხზე დგებიან და ისევ გაისმის შეძახილები „მეგობრობა!", „მ

საბჭოთა მუსიკის შემდგომი განვითარებისათვის

8 ივნისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“. ამ დადგენილებაზე ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის პირველივე გამოხმაურება ნათელყოფს, რა ღრმა და გულწრფელი მადლობის გრძნობით შეხვდა ჩვენი მხატვრული ინტელიგენცია დიადი კომუნისტური პარტიის ამ ახალ ბრძნულ ღონისძიებას საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებისათვის.

გაბედული შემოქმედებითი ძიებისაკენ

მახსოვს ასეთი ეპიზოდი: თბილისის კონსერვატორიის სტუდენტებმა — ახალგაზრდა კომპოზიტორებმა მთხოვეს მომესმენინებინა შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონიის ჩანაწერი. ეს იყო იმ დროს, როცა შოსტაკოვიჩის შემოქმედება აღიარებულ იქნა ანტიხალხურად და ფორმალისტურად. ახალგაზრდა კომპოზიტორებს ძალიან აინტერესებდათ მოესმინათ მე-5 სიმფონია, რომ გაეგოთ, რაში მდგომარეობდა შოსტაკოვიჩის ანტიხალხურობა და ფორმალისტობა. ახალგაზრდებს ეს თხოვნა შეეფასრულე და ფირის საშუალებით მოვასმენინე აღნიშნული სიმფონია, რომელმაც დიდი ემოციური და მხატვრული შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. გაკვირვებული მეკითხებოდნენ, თუ რაში მდგომარეობდა ამ ნაწარმოების ფორმალიზმი და ანტიხალხურობა. ჩემთვის მართლაც ძალიან ძნელი იყო მეპასუხნა ამ კითხვაზე. შოსტაკოვიჩის მე-5 სიმფონიასთან დაკავშირებით უსიამოვნებაც კი შემემთხვა კონსერვატორიის დირექციასთან, ვინაიდან „ფორმალისტური ნაწარმოების“ ორგანიზებული მოსმენა მოვაწყეთ. დღეს კი ეს ნაწარმოები გამოცხადებულია მთელი საბჭოთა მუსიკის საუკეთესო ნიმუშად.

ეს პატარა ეპიზოდი ნათელი მაჩვენებელია იმისა, რომ 1948 წლის დადგენილებაში დაშვებული იყო ცალკეული სუბიექტური ხასიათის შეცდომები, თუმცა ამ დადგენილებას, მის ძირითად საკვანძო დებულებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საბჭოთა მუსიკალური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

1958 წლის 28 მაისის დადგენილება ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკის“, „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების შესახებ შესანიშნავი დოკუმენტია, რომელიც სახავს საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების შემდგომი განვითარების ნათელ პერსპექტივებს.

მე პირადად მეგონა, რომ ქართულ მუსიკაში ფორმალისტური ნაწარმოებები არ ყოფილა, თუმცა ა. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია ერთ დროს ფორმალისტურად იქნა მონათლული. ცხოვრებამ კი დაამტკიცა, რომ ეს ნაწარმოები ქართული სიმფონიური აზროვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ახალი დადგენილება, რომელიც ჩვენი დიადი პარტიის გულისხმიერი ზრუნვის უტყუარი საბუთია, საბჭოთა კომპოზიტორებს მოუწოდებს მეტი შემოქმედებითი სითამამისა და გაბედული ძიებისაკენ.

ახლა სიტყვა ჩვენ, კომპოზიტორებს, გვეკუთვნის.

ა. მაჭავარიანი,
კომპოზიტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

პარტიის დიდი ყურადღება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 28 მაისის დადგენილება „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“ გამომხატველია იმ დიდი ყურადღებისა და ზრუნვისა, რომელსაც ჩვენი პარტია და მთავრობა ყოველდღიურად იჩენენ ხელოვნების მუშაკების მიმართ.

ნიჭიერ ხელოვანთა მიმართ გრძნობიერმა და ფრთხილმა მოპყრობამ, რომელიც დიდმა ლენინმა გვიანდერძა, ამ დადგენილებაში თავისი საუკეთესო გამოსახულება ჰპოვა. ეს დადგენილება აიარაღებს საბჭოთა კომპოზიტორებს საბჭოთა ხელოვნების მარქსისტული ანალიზის გზით, დიდი გულისხმიერებით მოგვიწოდებდა და მოგვიწოდებს მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, ხელოვნების ყველა მუშაკს რეალიზმის, ხალხურობის გზით ცხოვრების სინამდვილის ასახვისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის დადგენილება „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“ ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის დადგენილება „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში ჰპოვა. ეს დადგენილება აიარაღებს საბჭოთა კომპოზიტორებს საბჭოთა ხელოვნების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის დადგენილება „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“ ამ დადგენილებაზე ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის პირველივე გამოხმაურება ნათელყოფს, რა ღრმა და გულწრფელი მადლობის გრძნობით შეხვდა ჩვენი მხატვრული ინტელიგენცია დიადი კომუნისტური პარტიის ამ ახალ ბრძნულ ღონისძიებას საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებისათვის.

დ. მჭედლიძე,
თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

ახალი პერსპექტივები

მშობლიური კომუნისტური პარტიის ყოველდღიური უანგარო მზრუნველობის შედეგია, რომ სულ ოთხიოდე ათეული წლის მანძილზე ასე აყვავდა და ნაყოფიერად ვითარდება საბჭოთა ხელოვნება.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს ჩვენი მუსიკალური ხელოვნების დიდი მიღწევებით. გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედება, შეიძლება ასე ითქვას, საბჭოთა ხალხის დიდი შემოქმედებითი ცხოვრების „მუსიკალური მატიანეა“.

პარტია ყოველთვის წარმართავდა და წარმართავს ჩვენი ხელოვნების განვითარებას ხალხისადმი სამსახურის კეთილშობილური გზით, დიდი გულისხმიერებით მოგვიწოდებდა და მოგვიწოდებს მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, ხელოვნების ყველა მუშაკს, ბალეტმეისტრებს, ბალეტმეისტრებს, ბალეტმეისტრებს, ბალეტმეისტრებს, ბალეტმეისტრებს, ბალეტმეისტრებ

ხალხურობისა და რეალიზმის გზა

საბჭოთა ხალხი დამსახურებულად ამაყობს თავისი მუსიკალური ხელოვნების მიღწევებით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში და განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ ახალი და საინტერესო შეიქმნა ქართულ მუსიკაში. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში. როგორც ცნობილია, მალალმომთხოვნმა მოსკოველმა მაყურებელმა ქართველ კომპოზიტორთა ბევრ ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცა.

ეს ყველაფერი შედეგია იმ დიდი მზრუნველობისა და ყურადღებისა, რომელსაც დიადი კომუნისტური პარტია იჩენს საბჭოთა მუსიკისადმი. ამ მზრუნველობის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის დადგენილება „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“.

ს. ბაჯაევარიანი,
კომპოზიტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

დატარებითი ვაჭრობა ჩაის პლანტაციებში

მახარაძე. (საკ. კორ.). რაიკოოპკავშირის გამგეობის ინიციატივით რაიონის ცენტრიდან დაშორებულ საკოლმეურნეო ჩაის პლანტაციებში მოეწყო საქონლის დატარებითი ვაჭრობა. მეჩაიეები მუშაობის ადგილას იძენენ პირველი მოთხოვნილების სასურსათო და სამრეწველო საქონელს — პურს, შაქარს, მინერალურ წყლებს და სხვ.

ამ დღეებში სოფელ მახარაძის კოლმეურნეობამ „გზა კომუნიზმისაკენ“ ჩაის პლანტაციაში მოაწყო საველე სასადილო, სადაც ყოველდღიურად მზადდება კარგი და იაფფასიანი კერძები.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებიდან დღემდე რაიკოოპკავშირმა ჩაის პლანტაციებში მომუშავე კოლმეურნეთათვის გახსნა 20-მდე საველე სასადილო. ყოველივე ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მეჩაიეთა წარმატებებს.

სურათზე: კოოპკავშირის ავტომანქანა სოფელ ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაში.

ფოტო ა. ახულაძისა.

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

აგროეკონომიური ლიტერატურის კარგი შენაძენი

ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა და სოფლის მეურნეობის მუშაკები დღემდე მოკლებულნი იყვნენ სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკასა და ორგანიზაციაში სახელმძღვანელო ლიტერატურას მშობლიურ ენაზე.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ივ. ჯაფარიძის წიგნი „სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია“, რომელიც ამას წინათ გამოსცა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობამ.

ეს სახელმძღვანელო შესანიშნავი მოვლენაა ჩვენს აგროეკონომიურ ლიტერატურაში. მასში მრავალ ციფრობრივ და ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თავისებურებების მიხედვით განხილულია მთელი რიგი ისეთი დარგებისა და კულტურების ორგანიზაცია, რომლებიც მხოლოდ საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის არის დამახასიათებელი და დამახასიათებელ სპეციფიკას შეიცავს. ამავე დროს საკითხები დამუშავებულია მეურნეობის ალა ცალკეული ფორმების, არამედ პრობლემების მიხედვით.

სარეცენზიო წიგნის უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს მიმართულების სრული სიმტკიცე და თანმიმდევრულობა პირველი გვერდიდან უკანასკნელამდე. ავტორისათვის უცხოა სქოლასტიკა და დოგმატიზმი, რომლებიც ხშირად ახასიათებს სახელმძღვანელოებს. გადმოგვცემს რა თავდაპირველად „ზოგად ცნებებს“, ავტორი შემდეგ განსაზღვრავს ამ მეცნიერების ადგილს სხვა სამეცნიერო დისციპლინათა შორის, სოფლის მეურნეობის ზოგიერთ ორგანიზაციულ-საწარმოო თავისებურებას, მეთოდს, ამოცანებს და დისციპლინის განვითარების მოკლე ისტორიას.

სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების სწორმა განსაზღვრამ მისცა ავტორს საშუალება სახელმძღვანელოში გეგმიანად დაეფაგებინა და თანმიმდევრულად განეხილა ყველა ის საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების კანონზომიერებათა შესწავლასთან.

საქმის ცოდნით არის შედგენილი სახელმძღვანელოს მე-4 და მე-5 თავები „შიგასამეურნეო დაგეგმვა და დარგების სწორი შეთანწყობა“. საფუძვლიანად არის განხილული ისეთი საკითხები, როგორიც არის დაგეგმვის საფუძვლები, გეგმის სახეები. შიგასამეურნეო დაგეგმვა, მეურნეობის სპეციალიზაცია და სხვ. განიხილავს რა გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების კანონს, ავტორი დაასკვნის, რომ სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ძირითად ამოცანას შეადგენს უზრუნველყოფილ იქნას სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილი განლაგება სოფლის მეურნეობის დარგებისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სპეციალიზაცია თვითეული რაიონის, ხოლო რაიონში — თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ბუნების და ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით. ამასთან მიზნად უნდა იქნას დასახული 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე პროდუქციის გამოსაველის მკვეთრად გადიდება შრომისა და სახსრების მინიმალური ხარჯვით.

დიდი ყურადღების ღირსია წიგნის მე-6 თავი „საწარმოო საშუალებათა ორგანიზაცია“. აქ ვრცლად არის განხილული საწარმოო საშუალებათა მნიშვნელობის, ენერგეტიკული რესურსების, მექანიკური და ცოცხალი გამწევი ძალის, ელექტროენერგიის გამოყენების, საწარმოო საშუალებათა ამორტიზაციის, საწვავ-საცხები მასალების გამოყენების, შენობების და ტერიტორიის ორგანიზაციის საკითხები.

ინტერესით იკითხება სახელმძღვანელოს 11, 12, 13 და 14 თავები, სადაც განხილულია საკითხები: მოსავლისა და შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში, საფინანსო მეურნეობის ორგანიზაცია და თვითღირებულება სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, მმართველობის ორგანიზაცია, სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზი და სხვ.

სასურველი იყო სახელმძღვანელოში უფრო ვრცლად ყოფილიყო გაშუქებული ისეთი დარგების ორგანიზაცია, როგორიც არის მეფრინველობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეკურდღლეობა და სხვ.

სახელმძღვანელო ბევრად მოიგებდა, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ფორმები უფრო მცირე მასშტაბით ყოფილიყო განხილული, რადგან ეს სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკის კურსის საგანს წარმოადგენს. საჭირო იყო საილუსტრაციო მასალების — რუკების, გეგმებისა და დიაგრამების უფრო მეტი რაოდენობით ჩართვა.

წიგნში ვხვდებით ცალკეულ სტილისტურ, ორთოგრაფიულ და ტექნიკურ შეცდომებს.

სამწუხაროა, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობის წიგნი გამოცემულია 7 ათასი ცალი ტირაჟით, რაც მოთხოვნილების მნიმუმსაც ვერ დაკმაყოფილებს.

დოც ალ. ნარჩუმაშვილი.

თბილისის სომხური თეატრის 100 წლისთავის დღესასწაულზე

საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ აღნიშნა თბილისში სომხური თეატრის დაარსების 100 წლისთავი. 9 ივნისს თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრში გაიმართა ამ სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

იხსნება ფარდა. დამსწრენი მხურვალედ მიესალმებიან თეატრის კოლექტივს.

საზეიმო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. დვალიშვილმა. მოხსენება ს. შაუმიანის სახელობის თეატრის შემოქმედებითი გზის შესახებ გააკეთა საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ბუხნიკაშვილმა.

იუბილარს მიესალმნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, სომხეთის თეატრალური საზოგადოების სახელით — სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ა. ავეტისიანი. რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა პ. მარკოვმა გადასცა მილოცვა სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოებისა და მოსკოვის თეატრების სახელით. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით გამოვიდნენ მწერლები მიხ. მრევლიშვილი და ი. გრიშაშვილი. ზ. ფალიაშვილის, რუსთაველის, კ. მარჯანიშვილისა და ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრების წარმყვანმა მსახიობებმა მონაწილეობა მიიღეს თეატრალიზებულ მასალებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. გელდიაშვილმა გამოაქვეყნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თეატრის შემოქმედებითი მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეების დიდი ჯგუფის მთავრობის ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ჩუბინიძემ ტაშის გრიალში ჯილდოები გადასცა და მიულოცა თეატრის კოლექტივს ღირსშესანიშნავი თარიღი, შემდგომი წარმატებები უსურვა მას.

სომხეთის სსრ კულტურის მინისტრმა ა. შაგინიანმა განაცხადა, რომ სომხეთის კულტურის სამინისტროს სიგელებით დაჯილდოებულია თეატრის 20 მუშაკი.

დასასრულ სომხური დრამის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ფ. ბეიკიანმა მხურვალე მადლობა უძღვნა პარტიასა და მთავრობას თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე დიდი ზრუნვისათვის.

საზეიმო ნაწილის შემდეგ უჩვენეს პიესა „გლახის ნაამბობის“ მესამე მოქმედება. პიესის როლს ქართულ ენაზე ასრულებდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე.

საზეიმო საღამოს დაესწრნენ ამხანაგები: მ. ჩუბინიძე, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ს. სააკიანი, ი. დოლიძე, მ. კუჭავა, გ. გეგეშიძე. (საქდესი).

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ეს ხდება პარტიული ორგანიზაციის თვალწინ“

საქართველოს კპ კასპის რაიონული კომიტეტის ბიუროს განიხილა „კომუნისტის“ 15 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული მამხილებელი წერილი „ეს ხდება პარტიული ორგანიზაციის თვალწინ“ და დადასტურებულად ცნო ამ წერილში მოყვანილი ფაქტები კავთისხევის სოფლის კოოპერატივის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ.

მხილებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის რაიკომის ბიუროს დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. კავთისხევის სოფლის კოოპერატივის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ადგილზე გაეწია პრაქტიკული დახმარება შინაპარტიული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მაისის მეორე ნახევარში პარტიის კასპის რაიკომის პლენუმმა განიხილა საკითხი „სამომხმარებლო კოოპერაციაში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

პარტიის კასპის რაიკომი რედაქციას ატყობინებს, რომ წერილში გაკრიტიკებული ვაჭრობის მუშაკები — კავთისხევის სოფლის კოოპერატივის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ა. მორჩილაძე, წინარეხისა და ეზატის სოფლის მაღაზიების გამგე-გამყიდველები ნ. წივილაძე და თ. მერებაშვილი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში კომბინაციების ჩადენისა და მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-დატაცებისათვის.

„მოვითხოვთ წყაროს აღდგენას“

ასეთი სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დაბა სურამში საბავშვო ბაგის გამგის მ. ონაშვილის უყურადღებობით სპარტაკის ქუჩაზე გაბინძურებულ იქნა ერთადერთი წყარო, რის გამო მოსახლეობა სასმელ წყალს შორი მანძილიდან ეზიდებოდა.

ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომმა ადგილზე შეისწავლა აღნიშნული ფაქტი და სწორად ცნო გაზეთის ნიგნალი. დამნაშავე პირთა საქმე განიხილა სახალხო სასამართლომ და დაჯარიმა ისინი.

უახლოეს დროში გაკეთებულნენ აღნიშნული ქუჩის კეთილმოწყობა, გაწმენდილ იქნება წყაროს სათავე.

თეორია დავუკავშიროთ პრაქტიკას

პროფესორი ი. სარიშვილი,
საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი.

ამას წინათ გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ გამოაქვეყნა კიევის მტს-ის აგრონომ-მებოსტნის გ. ჩუდნოვსკის სტატია „ვისწავლოთ მინდვრის ლაბორატორიებში“, ხოლო ცოტა უფრო ადრე გაზეთ „სელსკოე ხოზიაისტვოში“ დაიბეჭდა წერილი „ახალი სასწავლო გეგმა მოქმედებაში“, რომლის ავტორები არიან ხარკოვის ზოოვეტინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები.

აღნიშნული წერილების მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ ერთმანეთს თეორიული და პრაქტიკული სწავლება, განსაკუთრებით გავაუმჯობესოთ სწავლება უფრო მეტი პრაქტიკული ჩვევების მისაღებად.

გამოქვეყნებულ წერილებში წამოყენებულმა საკითხებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ისინი განხილულ იქნა აკადემიურ ჯგუფებში, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში, სამეცნიერო საბჭოში. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა დაწერეს წერილები, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა.

ამ საკითხების ასე ფართოდ დასმა შემოხვევითი მოვლენა არ არის.

თანამედროვე პირობებში უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების არსებული მეთოდი საფუძვლიან გადასინჯვას საჭიროებს, რადგან იგი ვეღარ უპასუხებს ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კერძოდ სოციალისტური სოფლის მეურნეობის სწრაფად მზარდ მოთხოვნილებას.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის XX ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები მიეუახლოოთ სოფლის მეურნეობის წარმოებას. ჩვენ უნდა განვახორციელოთ საკავშირო ალკ XIII ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში მოცემული მითითებანი იმის შესახებ, რომ „სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადება უნდა წარმოებდეს დიდ საბჭოთა მეურნეობებთან მოწყობილ ინსტიტუტებში. იქ უნდა იყოს სასწავლო კორპუსები. ლაბორატორიები და მეურნეობები პრაქტიკული მუშაობისათვის... სტუდენტები თვითონ უნდა უვლიდნენ ცხოველებს. რემონტს უკეთებდნენ მანქანებს, შეიძლოთ ამ მანქანების მართვა, თვითონ უნდა თესავდნენ, მოჰყავდეთ მოსავალი და იღებდნენ მას“.

დასამალავი არ არის, რომ სწავლების საქმეს. კერძოდ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში, სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. ამ ნაკლოვანებათა მთავარი წყაროა ის არის, რომ უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დიდი უმრავლესობა განლაგებულია ქალაქებში, სადაც ხშირად შეუძლებელია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ბაზების შექმნა, რის გამო სტუდენტები იძულებულნი არიან პრაქტიკა გაიარონ ინსტიტუტს ათეულ კილომეტრობით დაშორებულ და ხშირად უფრო შორ მანძილზე მყოფ მეურნეობებში. ასეთ მდგომარეობაშია აგრეთვე საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და საქართველოს სსრ-ში არსებული სხვა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. ასეთ პირობებში ძნელი ხდება სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მაღალხარისხოვნად გავლა, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს საშუალება არა აქვთ ყოველდღიურად და სისტემატურად აწარმოონ დაკვირვება მათ მიერვე ჩატარებული მუშაობის შედეგებზე, გამოიყენონ მთლიანად სავეგეტაციო პერიოდი და მიიღონ უშუალო მონაწილეობა მეურნეობის საქმიანობის ყველა პროცესში, დაწყებული თესვითა და მყნობით და გათავებული მოსავლის აღებით. საჭიროა სასწავლო პრაქტიკის გეგმა და პროგრამა დავუკავშიროთ მეურნეობის მიმდინარე აგროტექნიკურ ღონისძიებებს. მაგალითად, აგროქიმიაში სასწავლო პრაქტიკა უნდა ჩავატაროთ იმ დროს, როდესაც მეურნეობას გათვალისწინებული აქვს ცალკე კულტურების სათეს ნიადაგში სასუქების შეტანა, ხოლო სარეველა ბალახების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკა ეფექტურია მაშინ, როდესაც ჯეჯილია გასამარგლი და სხვ.

მაგრამ ძნელია პრაქტიკის ამ წესით სრულყოფილად განხორციელება, როდესაც ინსტიტუტი დაცილებულია თავის ბაზას.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, გაითვალისწინეს რა აღნიშნული მდგომარეობა, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს სასწავლო ბაზად გადასცა დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და ამ მეურნეობის ახლო მდებარე მიწები, სადაც გათვალისწინებულია ინსტიტუტის გადატანა. აქ ახლო ხანში უნდა აშენდეს სასწავლო კორპუსები, დამხმარე შენობები, მოეწყოს ლაბორატორიები და კაბინეტები. ამასთან გაუმჯობესდება მეურნეობის საქმიანობა, რომ იგი გადაიქცეს ნამდვილ სასწავლო-საჩვენებელ მეურნეობად, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მეურნეობის ყველა ძირითადი დარგი ინსტიტუტში არსებული პროფილების შესაბამისად. სასწავლო მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება მოწინავე ტექნიკით. აქ სტუდენტებს უნდა შეიძლოთ სრულყოფილად გაეცნონ მოწინავე აგროტექნიკურ ღონისძიებებს და მეცნიერების უახლეს მიღწევებს.

დიღმის სასწავლო მეურნეობაში ინსტიტუტის გადატანა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

ცნობილია, რომ თეორია და პრაქტიკა მთლიანობაში უნდა იყოს. როდესაც ინსტიტუტი მოწყობილია მეურნეობის ტერიტორიაზე, საქმე უფრო გაადვილებულია. ლექტორს ყოველთვის აქვს საშუალება ლექციის წაკითხვის პერიოდში საჭიროებისამებრ იქვე მეურნეობაში მოახდინოს საკითხის ნათელსაყოფი დემონსტრაციები, მაგრამ შეცდომას დავუშვებთ, თუ პრაქტიკას ჩავატარებთ თეორიული ლექციებისათვის განკუთვნილი საათების ანგარიშში, ანდა, პირიქით, პრაქტიკის საათებს მივუმატებთ ლექციებს.

მოქმედი სასწავლო გეგმა კი არ იძლევა საშუალებას მოცემულ დროში სრულყოფილად მოვაწყოთ პრაქტიკა და თეორიული ლექციების კითხვა წამყვან საგნებში. მაგალითად, მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტში, სადაც წარმოდგენილია სწავლების ხუთი კურსი, სტუდენტები პირველ და მეორე კურსზე გადიან საგნობრივ პრაქტიკას, რომლის დრო განისაზღვრება თვითეულ საგანში 36 საათით. ეს დრო კი არ არის საკმარისი, იგი ექსკურსიას უფრო ჰგავს. შეუძლებელია ასე მცირე დროის განმავლობაში სტუდენტმა საგანში მყარი ცოდნა მიიღოს.

უარესი მდგომარეობაა მესამე კურსზე. აქ სასწავლო პრაქტიკისათვის ძირითად საგნებში (მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა) მთელ სამეურნეო წელს გათვალისწინებულია თვითეულ საგანში 72 საათი, რაც განაწილებულია წელიწადის სამ დროზე: გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე, ე. ი. თვითეულ დროზე მოდის სამი დღე.

ცხადია, სტუდენტი მეურნეობაში სამი დღის ყოფნით ვერ იქონიებს სათანადო ნაკლოვანებას მცენარის ზრდა-განვითარებაზე წლის დროის ამა თუ იმ პერიოდში. ასეთ პირობებში სტუდენტს სრულიად არა აქვს საშუალება უშუალო მონაწილეობა მიიღოს მცენარის მოვლის ყველა პროცესში, მოახდინოს დაკვირვება თავისი შრომის შედეგებზე.

სტუდენტი, რომელიც სწავლობს მყნობას, თვითონ უნდა უვლიდეს ნამყენს, აღრიცხავდეს გახარების პროცენტს. იგი არა მარტო უნდა სწავლობდეს, თუ როგორ შეიტანოს ნიადაგში ორგანულ-მინერალური სასუქები, არამედ ამასთან უკვირდებოდეს ნიადაგში შეტანილი სასუქების ეფექტიურობას.

უდავოა, რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათები აღნიშნულის სწავლებისათვის მეტად მცირეა. რაც შეეხება შემდეგ კურსებს, იქ უკვე საქმე გვაქვს საწარმოო პრაქტიკასთან, როდესაც სტუდენტი უფრო მეტად დამოუკიდებელ მუშაობას ეწევა და მისთვის ხანგრძლივი დროა საჭირო მეურნეობაში პრაქტიკული საქმიანობისათვის.

შეიძლება გვეფიქრა, რომ მოგვეწყო კომპლექსური პრაქტიკა, მაგალითად, აგროქიმიის პრაქტიკა ერთდროულად მებოლეობასა და მევენახეობასთან. ეს უთუოდ მისაღებია, მაგრამ არ არის საკმარისი, რადგან აგროქიმიის სასწავლო პრაქტიკისათვის კიდევ უფრო მცირე დროა განკუთვნილი — მთელი წლის განმავლობაში 36 საათი. ამასთან სპარფიელო საგნებში თეორიული სწავლებისთვისაც არ არის საკმარისი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დრო, რადგან იგი შეადგენს სტუდენტის თეორიული სწავლებისათვის გათვალისწინებული დროის მიუჯერტის მთლიან 15-20 პროცენტს. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვაყენებთ საკითხს იმის შესახებ, რომ შეეცადოთ სწავლების დრო ზოგადსაგანმანათლებელო საგნებში და ამის ხარჯზე გავზარდოთ სწავლების დრო საპროფილო საგნებში.

როგორც ვხედავთ, მოქმედი სასწავლო გეგმა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკის სრულყოფილად ჩატარებას, აგრეთვე საპროფილო საგნებში მაღალხარისხოვნად სწავლებას.

ისმება საკითხი, თუ რა ღონისძიებას მიემართოთ, რომ გავადიდოთ სწავლების დრო მინდორსა და საპროფილო საგნებში, რომ უზრუნველყოთ გამოშვება ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა, რომლებიც ღრმად იქნებიან დაუფლებული თეორიასა და პრაქტიკას? — ჩვენი აზრით, უნდა გავადიდოთ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში სწავლების დრო. თუ ამჟამად ინსტიტუტის დამთავრებისათვის განკუთვნილია 4 წელიწადი და 7 თვე, ახლა ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების პირობები მოითხოვენ სწავლების დროის გადიდებას არა ნაკლებ 5-5,5 წლამდე ფაკულტეტების ს

ქალაქ თბილისის 1500 წლისთავისათვის

ქართველი ხალხის სიამაყე და ჯვენება



ბ. გეგეშიძე
საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

★

1958 წლის ოქტომბერში თბილისის მშრომელები, ჩვენი რესპუბლიკის მთელი ხალხი აღნიშნავენ სახელოვან ქალაქ თბილისის — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურული ცენტრის 1500 წლისთავს.

ჩვენი ძველი დედაქალაქის იუბილეს აღნიშნავ იწვევს არა მარტო ქართველი ხალხის სიხარულს, არამედ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ხალხის სიხარულსაც, ვინაიდან ამ დღესასწაულით ნათლად დასტურდება დიადი ტრიუმფი ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, რომელსაც განუხრელად ახორციელებს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის დაბადება, მისი შემდგომი განვითარება განუკრელად დაკავშირებულია ქართველი ხალხის გმირულ ისტორიასთან, მის თავდადებულ ბრძოლასთან თავისი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის, თავისი ძველი და თვითმყოფი კულტურის შენარჩუნებისა და შემდგომი აყვავებისათვის.

თბილისი მთელი ქართველი ხალხის დიადი ბრძოლისა და ისტორიულ გამარჯვებათა ცოცხალი მატიანეა.

აი რატომ არის ქალაქი თბილისი მახლობელი და ძვირფასი თვითეული ქართველისათვის, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის, აი რატომ სიყვარულით და სიამაყით იხსენებენ და ლაპარაკობენ ჩვენი ძველი თბილისის გმირულ წარსულზე, დღევანდელ წარმატებებსა და მშვენიერ მომავალზე.

მთელი რევოლუციამდელი ისტორიის მანძილზე საქართველოს და მისი დედაქალაქის თბილისის მშრომელები მძიმე, გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. როგორც მთელი საქართველო, ისე თბილისი გადაქცეული იყო უუნოელი დამპყრობლების შემოსევათა ასპარეზად.

რომელ დამპყრობს არ აღუმართავს მახვილი შრომისმოყვარე, ნიჭიერი ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ბიზანტიელები და ხაზარები, არაბები და მონღოლები, ირანელები, თურქები და სხვა დამპყრობნი ანგრევდნენ და ძარცვავდნენ ქალაქს, ულმობლად სპობდნენ მის მოსახლეობას.

გმირ ქართველ ხალხს არაერთხელ დასჭირვებია აღედგინა მტრების მიერ დანგრეული თავისი საყვარელი ქალაქი.

ქართველი ხალხის უდიდესი ბამაცობა, თავდადება და უმამაცლითო გმირობა იხსნიდა ხოლმე საქართველოს დედაქალაქს სრული მოსპობისაგან, და მან საქართველოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრის მნიშვნელობა შეინარჩუნა.

1801 წლის შემდეგ თბილისისათვის, ისევე როგორც მთელი საქართველოსათვის, იწყება მშვიდობიანი განვითარების პერიოდი, — საქართველო უერთდება რუსეთს.

მართალია, მაშინდელი მეფის რუსეთის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ წყობილებას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ქართველი ხალხის საჭიროებანი და მისწრაფება, მაგრამ მაინც რუსეთთან შეერთებამ საქართველოსათვის უზრუნველყო ტერიტორიული გაერთიანება, ფეოდალური დაქუცმაცების ლიკვიდაცია, რაც დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მისი შემდგომი ეკონომიური და კულტურული აღმავლობისათვის.

მეფის რუსეთის მკაცრმა კოლონიზატორულმა პოლიტიკამ ხელი ვერ შეუშალა საქართველოს მოქცეულიყო კაპიტალისტური განვითარების საერთო კალაპოტში.

„რუსეთის კაპიტალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი,—კაგკასიას ითრევდა საკონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704).

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ვითარდება ქალაქი თბილისიც, იზრდება მის სამრეწველო საწარმოთა რიცხვი, ფართოვდება ვაჭრობა.

სამრეწველო საწარმოთა და განსაკუთრებით ისეთ საწარმოთა გაჩენასთან ერთად, როგორიც რკინიგზის სახელოსნოები, დეპო და რამდენიმე სხვა ფაბრიკა და ქარხანა იყო, საქართველოში ჩნდება მუშათა კლასი.

მეფის რუსეთმა, რომელიც ხალხთა საპყრობილე იყო, საქართველო თავის კოლონიად გადააქცია, მაგრამ ქართველმა ხალხმა დიდ რუს ხალხში ჰპოვა ძმური მხარდაჭერა მშრომელთა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცარიზმისადმი, მემამულეებისა და ბურჟუაზიისადმი საერთო სიძულვილმა მჭიდროდ შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის ხალხები. ისინი მჩაგვრელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებოდნენ, მაგრამ ეს ბრძოლა თავდაპირველად ორგანიზებულ ხასიათს არ ატარებდა. და როცა XIX საუკუნის დამლევს კლასობრივი ბრძოლის ისტორიულ ასპარეზზე რუსეთის პროლეტარიატი გამოვიდა და დიდი ლენინის ხელმძღვანელობით პირველად რუსეთში სოციალიზმი შეუერთდა მუშათა მოძრაობას, ლენინური „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის „კავშირის“ მაგალითისამებრ დაიწყო ჩამოყალიბება თბილისის სოციალ-დემოკრატთა რევოლუციურმა ბირთვმა, რომელმაც რევოლუციური მუშაობა გააჩაღა მუშებს შორის.

ამ ბრძოლაში იბადებოდა და იწრთობოდა შესანიშნავი გვარდია პროფესიონალი რევოლუციონერებისა, რომელთა გმირულ მოღვაწეობას დიდად აფასებდა ვ. ი. ლენინი. ის დროს თბილისის მუშები უუფლებობასთან, ცარიზმის უღელთან, კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობასთან ბრძოლის ავანგარდში იდგნენ.

იგონებდა რა თბილისის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას, 1926 წელს ი. ბ. სტალინი ამბობდა: „...ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ“.

საქართველოს რევოლუციურ არმიაში თბილისის პროლეტარიატი მუდამ იყო მებრძოლი რაზმი, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებისადმი ბოლომდე ერთგული.

თბილისის პროლეტარიატი, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხი, დიდი რევოლუციური ენთუზიაზმით შეხვდა ცნობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ.

ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით თბილისის პროლეტარიატი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკური ნაციონალისტური მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ საქართველოში შეიქმნა.

საბჭოთა რუსეთის დახმარებით საქართველოს მშრომელებმა დაამხეს მენშევიკების კონტრრევოლუციური დიქტატურა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. „თბილისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა...“ — დეპეშით აცნობებდა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს სერგო ორჯონიკიძე 1921 წლის 25 თებერვალს.

ძველ თბილისზე აღმართულმა საბჭოების დროშამ ამცნო ქვეყანას, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი, სახელოვანი ეპოქა დაიწყო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ყურადღებისა და დახმარების მეოხებით ქალაქი თბილისი ჩვენი რესპუბლიკის მძლავრი ინდუსტრიული ბაზა გახდა.

ქალაქ თბილისის ბოლშევიკები, თავიანთი რევოლუციური ტრადიციების ერთგულნი, მთელი სიმტკიცით ახორციელებდნენ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ კურსს.

მთელ პარტიასთან ერთად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, თბილისის პარტიული ორგანიზაცია შეურიგებელ და უღმობელ ბრძოლას ეწეოდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა ხელი შეეშალა სოციალიზმის მშენებლობისათვის. ტროცკისტების, ადგილობრივი ნაციონალუკლონისტებისა და სხვა ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში თბილისის პარტიული ორგანიზაცია მუდამ იყო და კვლავაც იქნება საქართველოს კომპარტიის საიმედო დასაყრდენი.

თბილისის კომუნისტებმა დარაზმეს მშრომელთა მასები და მტკიცედ ჩაუდგნენ სათავეში მათა ბრძოლას ქალაქის მრეწველობის აღდგენისა და განვითარებისათვის. უკვე 1924 წელს თბილისის სამრეწველო საწარმოებმა 38 პროცენტით გადააჭარბეს პროდუქციის გამოშვების 1921 წლის დონეს.

პირველი ხუთწლედების წლებში იწყება თბილისის გადაქცევა სოციალისტური ინდუსტრიის ქალაქად. თბილისში დასაწყისი მიეცა მანქანათსამშენებლო, მეტალურგიული, ქიმიური, მსუბუქი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის განვითარებას და ახლა ჩვენ გვაქვს მრეწველობის არა მარტო ეს დარგები, არამედ ახალი დარგებიც, როგორიც არის ელმავალსამშენებლო, ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობა და სხვ.

ქალაქში შექმნილია ბევრი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საკონსტრუქტორო ბიურო და ლაბორატორია.

ახლა თბილისში 1.228 მსხვილი და წვრილი სამრეწველო საწარმოა. ამ საწარმოთა სიმძლავრეზე დამაჯერებლად მეტყველებს ის, რომ 1957 წელს ჩვენი ქალაქის წარმოების დონე 50-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა 1913 წელთან შედარებით.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილ თბილისელთა შესანიშნავმა თვისებებმა განსაკუთრებული ძალითა და სიღრმით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის სუსხიან წლებში. თბილისელებმა მაშინ მოკლე ვადაში შეძლეს გარდაექმნათ მრეწველობა საბრძოლო ყაიდაზე. ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი საუკეთესო შვილები გაგზავნა ომის ფრონტებზე.

საქართველოს მშრომელებთან და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თბილისელებმა ფრონტებზე საგმირო საქმეებით და ზურგში თავდადებული შრომით თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი სამშობლოს ვერაგ მტერზე გამარჯვების საქმეში.

როცა ზოგიერთი ჩვენი მომმე რესპუბლიკა დროებით ოკუპირებული აღმოჩნდა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ, თბილისელებმა თავიანთი ღვიძლი დაძმებივით მიიღეს ათეულ ათასობით უკრაინელი და ბელორუსი, ლატვიელი და ებრაელი და დედმამრივი მზრუნველობით ეკიდებოდნენ მათ.

ომის შემდეგ თბილისელი მშრომელები გაორკეცებული ენერგიით შეუდგნენ მრეწველობის გარდაქმნას, სამრეწველო წარმოების აღმავლობის უზრუნველყოფას და, მიუხედავად ერთვვარი ეკონომიური სიძნელეებისა, რომელებიც გამოწვეული იყო გამანადგურებელი ომით, შეძლეს მოკლე ვადაში მიეღწიათ მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის. უკვე 1946 წელს თბილისის მრეწველობამ წარმოების ომამდელ დონეს გადააჭარბა.

თბილისის 1500 წლისთავს ჩვენი ქალაქის მშრომელები ეგებებიან ახალი მიღწევებით მრეწველობაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში. მტკიცედ იბრძვიან სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ამასთან თავიანთ ყურადღებას აპყრობენ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ ამოცანებს.

თბილისი მოწინავე სოციალისტური კულტურის ქალაქი გახდა. მეცნიერული აზროვნების განვითარებით მას თუალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში. უკანასკნელ წლებში ჩვენს ქალაქში შექმნილია ახალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, რომელებიც მუშაობენ მექანიზაციის, ავტომატიკის, ტელემექანიკის, ელექტრონიკის, ატომგულის, ფიზიკისა და გამოყენებითი ქიმიის დარგში.

თბილისის მეცნიერნი მრავალრიცხოვანი რაზმი პატივსაცემით სარგებლობს და განთქმულია არა მარტო საქართველოსა და ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ჩვენს ქალაქში დაუღალავად შრომობს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, მსახიობთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი. მათი ნაყოფიერი მუშაობა თვალნათლივ დაგვანახვა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა მოსკოვში და რომელიც ლენინური ეროვნული პოლიტიკის და სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ნამდვილი ტრიუმფი იყო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა. საქართველოს კომუნისტები თავიანთი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ბოლშევიკური ენერგიითა და მთელი სიმტკიცით შეუდგნენ ამ ისტორიული ამოცანის შესრულებას. ამაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ქალაქ თბილისს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს ინდუსტრიულ ცენტრს.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ქალაქის მშრომელებმა, თბილისის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

1957 წლის გეგმა მრეწველობამ 110,9 პროცენტით შეასრულა, მოგვცა 3,2-ჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს, და ერთიორად მეტი, ვიდრე 1950 წელს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, რის შედეგადაც მარტო 98 მსხვილი სამრეწველო საწარმოსაგან მიღებულია 40 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

კარგად დაიწყეს მუშაობა ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა 1958 წელსაც. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ქალაქის მთელმა მრეწველობამ პირველ კვარტალში 105,4 პროცენტით შეასრულა.

ამჟამად ქალაქის საწარმოებში, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალთაგამნშმკეთებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, კამოლ-მაუდის კომბინატის და სხვა საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ქალაქის 1500 წლისთავის აღსანიშნავად. თბილისის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე, დღესასწაულის დღისათვის შეასრულონ ათი თვის პროგრამა.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ვალდებულება შესრულდება. ამას მოწმობენ ჩვენი ქალაქის მსხვილ საწარმოთა საწარმოო მაჩვენებლები.

ქალაქის საწარმოებში გაჩაღებულია მტკიცე ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის.

ბევრი ქარხნისა და ფაბრიკის კოლექტივები დაუღალავად შრომობენ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის ასათვისებლად, შრომის მოწინავე მეთოდების დასანერგავად.

ახალი ტექნიკის განვითარების საქმეში და განსაკუთრებით ავტომატიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის დარგში დიდი როლი უნდა შეასრულონ ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიკის საშუალებათა მშენებლობის ამას წინათ შექმნილმა თბილისის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და დამოუკიდებელმა საკონსტრუქტორო ბიურომ.

უკანასკნელ წლებში ჩვენი ქალაქი გამდიდრდა ახალი საუცხოო ქარხნებითა და ფაბრიკებით, რომლებიც აღჭურვილი არიან უახლესი ტექნიკით. წელს დასახულია არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა ბაზაზე თბილისში შეიქმნას 9 ახალი მსხვილი საწარმო ელექტროტექნიკური განხრით. გარდა ამისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით, განხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი ქიმიური მრეწველობის განვითარების დაჩქარებისათვის ახალი საწარმოო ფართობების შესაქმნელად და არსებულის გასაფართოებლად.

ქალაქის, ისევე როგორც მთელი რესპუბლიკის მრეწველობის ახალ აღმავლობაში უდიდესი როლი შესრულა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ. ქალაქის მრეწველობის მუშაობის გამოცდილებით ჩვენ თვალნათლივ დავრწმუნდით, თუ რამდენად დროულად და სწორად გადაწყვიტა ეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი პრობლემა ჩვენი პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა.

მუშები, ინჟინრები შემოქმედებითად იყენებენ იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგისა და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქების მრეწველობამ შეიძინა.

ჩვენს სახელოვან ქალაქში განუწყვეტლივ იზრდება წარმოების მოწინავე ადამიანთა რიგები, რომლებიც მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს გვიჩვენებენ.

მეცნიერებთან, ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით თბილისის საწარმოთა მუშებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ჩვენი დიადი ქვეყნის ტექნიკური პროგრესისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თბილისის მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

საბინაო მშენებლობის დარგში უკანასკნელ ორ წელიწადში (1956 და 1957 წლები) სახელმწიფოს ხაზინი აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 3,5 ათასი კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე მთელ მეხუთე ხუთწლედში (1951-1955 წლები). 1958 წელს თბილისელები სახელმწიფოსაგან მიიღებენ 100 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, მათ შორის 28,8 ათას კვადრატულ მეტრს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით.

ახალი შენობები და მაგისტრალები ამდიდრებენ ჩვენი ქალაქის არქიტექტურულ სახეს და უფრო ლამაზს ხდიან მას; ხორციელდება ქალაქის ყველა რაიონის წესრიგში მოყვანა და კეთილმოწყობა.

წარმატებით სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძანებულება ქალაქის ყველა ეზოს, ბაღის, ბულვარის, ტროტუარის, ბაზრის, ბანაკის, ბანოს, ბანაკის, ბანოს, ბანაკის, ბანოს

ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის პროპაგანდა

პეკინი, 9 ივნისი. (საკდესი). გუშინ შანხაიში მოეწყო მასობრივი კამპანია სოციალისტურ მშენებლობაში ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის პროპაგანდისათვის. ქალაქის ქუჩებში გამოვიდა 500 ათასი მუშა, სტუდენტი, სამხედრო მოსამსახურე, მსახიობი, მწერალი, მეცნიერი და მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენელნი. ყველგან ქალაქში გაიმართა მიტინგები და საუბრები სოციალისტურ მშენებლობაში ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის შესახებ. შანხაის ქუჩებში ყველგან გაკრული იყო გენერალური ხაზის შესახებ თვალსაჩინო პოეტების მიერ დაწერილი და ფურცლებად გამოცემული ლექსების 100 ათასზე მეტი ეგზემპლარი.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის მრავალი ორგანიზაციის ხელმძღვანელები და კადრის მუშაკები შედიოდნენ საცხოვრებელ სახლებში და განუმარტავდნენ მცხოვრებლებს პარტიის გენერალურ ხაზს.

კამპანიის მსვლელობაში აგიტატორები და პროპაგანდისტები პოპულარიზაციას უწევდნენ მუშათა გამოგონებებსა და სხვა თვალსაჩინო მიღწევებს. მუშები ქუჩებში უჩვენებდნენ საწარმოებში დამზადებულ ახალ პროდუქციას. მრავალი სახეობის ასეთი პროდუქცია წინათ ჩინეთში არ კეთდებოდა.

იზრაილის დეპუტატთა პალატის არჩევნების საბოლოო შედეგები

რომი, 9 ივნისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა დეპუტატთა პალატის იმ არჩევნების შედეგების საბოლოო ოფიციალური ცნობები, რომელიც 25-26 მაისს გაიმართა. ეს ცნობები ცხადყოფენ, რომ მემარცხენე ძალების წარმატება პარლამენტის არჩევნებში უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პირველი ცნობების მიხედვით შეიძლებოდა გვემსჯელნა.

იტალიის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 6.704.493 ხმა, ანუ ხმების საერთო რიცხვის 22,7 პროცენტი. (როგორც ცნობილია, კომპარტიამ მოაგროვა აგრეთვე 5.694.816 ხმა სენატის არჩევნებში).

სოციალისტურმა პარტიამ დეპუტატთა პალატის არჩევნებში მიიღო 4.206.728 ხმა, ანუ 14,2 პროცენტი. ამრიგად, მარტო ამ ორი მემარცხენე პარტიის კანდიდატებს ხმა მისცა თითქმის 11 მილიონმა ამომრჩეველმა.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 1.345.447 ხმა, ანუ 4,5 პროცენტი; რესპუბლიკურმა და რადიკალურმა პარტიამ — 405.582 ხმა, ანუ 1,5 პროცენტი; „მუშათა კლასისა და გლეხობის კულტურის გაერთიანებამ" — 173.227 ხმა (0,6 პროცენტი).

სხვა პარტიების კანდიდატებისათვის მიცემული ხმები საბოლოო ცნობებით ასე განაწილდა: ქრისტიან დემოკრატთა პარტია — 12.520.213 ხმა, (42,4 პროცენტი); ლიბერალური პარტია—1.047.802 (3,5 პროცენტი); ეროვნულ-მონარქისტული პარტია — 659.997 (2,2 პროცენტი); სახალხო - მონარქისტული პარტია — 776.920 (2,6 პროცენტი); ნეოფაშისტური პარტია „იტალიის სოციალური მოძრაობა" — 1.407.718 (4,8 პროცენტი); სამხრეთ ტიროლის სახალხო პარტია — 135.491 (0,5 პროცენტი); სხვა დაჯგუფებანი — 177.220 (0,6 პროცენტი).

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სოფია, 9 ივნისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ 7 ივნისს გაიმართა პლენუმი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია პარტიის VII ყრილობამ.

პლენუმმა აირჩია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შემდეგი შემადგენლობით:

პოლიტბიუროს წევრები: ბოიან ბილგარანოვი, დიმიტრ განევი, გიორგი დიმიანოვი, რაიკო დამიანოვი, ტოდორ ჟივკოვი, ივანე მიხაილოვი, ენჩო სტაიკოვი, ბორის ტასკოვი, გიორგი ცანკოვი, ვიღკო ჩერვენკოვი, ანტონ იუგოვი.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები: დიმიტრ დიმოვი, მლადენ სტოიანოვი, ტოდორ პრაბოვი.

პლენუმმა აირჩია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი.

ცენტრალური კომიტეტის მდივნები: დიმიტრ განევი, ბოიან ბილგარანოვი, სტანკო ტოდოროვი, მიტკო გრიგოროვი, პენჩო კუბადინსკი.

პლენუმმა აირჩია პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საკონტროლო კომისია; კომისიის თავმჯდომარეა დიმიტრ დიმოვი.

გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია იორდან კატარჯიევი.

ცვლილებანი ბულგარეთის მთავრობის შემადგენლობაში

სოფია, 9 ივნისი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმმა არმიის გენერალი პეტრე პანჩევსკი გაათავისუფლა სახალხო თავდაცვის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

სახალხო თავდაცვის მინისტრად სახალხო კრების პრეზიდიუმმა დანიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე არმიის გენერალი ივანე მიხაილოვი, გათავისუფლა რა იგი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრის მოვალეობისაგან.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრად სახალხო კრების პრეზიდიუმმა დანიშნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი დანჩო დიმიტროვი.

სახალხო კრების პრეზიდიუმმა განათლებისა და კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიღკო ჩერვენკოვი.

განათლებისა და კულტურის მინისტრად სახალხო კრების პრეზიდიუმმა დანიშნა ჟივკო ჟივკოვი, რომელიც გაათავისუფლა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების სესია

ფხენიანი, 9 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე მოწვევის უმაღლესი სახალხო კრების მესამე სესია. სესია მიიღებს კანონს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის (1957-1961 წლების) შესახებ, რომლის ძირითადი ამოცანაა სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლების შემდგომი განმტკიცება რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში, მოსახლეობის სურსათით, ტანსაცმლით და ბინით უზრუნველყოფის საკითხის ძირითადი გადაწყვეტა.

სესიის დილის სხდომაზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ლი ჯონ ოკმა.

შემდეგ გამოვიდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატ პაკ დენ აი, რომელმაც შეიტანა წინადადება გაეგზავნოს დიდ ჩინელ ხალხს და გმირ ჩინელ სახალხო მოხალისეებს მადლობის წერილი, რომელიც ხელმოწერილი იქნება მთელი კორეელი ხალხის მიერ. ჩინელმა ხალხმა, თქვა მან კერძოდ, თავისი საუკეთესო შვილები გამოგზავნა კორეის ფრონტზე კორეელი ხალხისათვის მძიმე წლებში. ჩინელ სახალხო მოხალისეთა და კორეის სახალხო არმიის ერთობლივ მოქმედებას გამარჯვება მოჰყვა ამერიკელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში.

დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს პაკ დენ აის ეს წინადადება.

სესიამ დაამტკიცა ჩინელი ხალხისა და ჩინელი სახალხო მოხალისეებისადმი წერილის პროექტის შემდგენი კომისიის შემადგენლობა. კომისიაში შევიდნენ კორეის შრომის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი მოღვაწეები.

საღამოს სხდომაზე მიმდინარეობდა კამათი პირველი ხუთწლიანი გეგმის შესახებ დეპუტატ ლი ჯონ ოკის მოხსენების გამო.

საბჭოთა ექსპონატები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი). პარიზში გაიხსნა კოსმოსურ სივრცეთა გამოკვლევის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია, კერძოდ, დედამიწის ორი პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის მაკეტები. გამოფენა დიდი წარმატებით სარგებლობს პარიზელებში, ამასთან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ საბჭოთა ექსპონატები.

საფრანგეთის კომპარტია მოითხოვს რესპუბლიკური წყობილების აღდგენას კორსიკაზე

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაიონმა ინფორმაციის საკითხთა მინისტრს ა. მალროს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მის ყურადღებას მიაპყრობს გაზეთ „ლუმანიტეს" კონფისკაციის არაერთ შემთხვევას კორსიკაზე, სადაც, როგორც ცნობილია, ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ეგრეთწოდებულმა „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტმა". ეტიენ ფაიონი მტკიცე პროტესტს აცხადებს ასეთი თვითნებობის წინააღმდეგ და კითხულობს, რას აპირებს მინისტრი იმისათვის, რომ უზრუნველყოს გაზეთ „ლუმანიტეს" გავრცელება კორსიკაზე, ისევე როგორც სხვა ადგილებში, „კანონების შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფენ საფრანგეთში პრესის თავისუფლებას".

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის კორსიკის ფედერაციის ხელმძღვანელმამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „კორსიკა არასოდეს არ იქნება ფაშისტთა ბაზა რესპუბლიკისა და ფრანგი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. კორსიკელები, რომლებიც კანონიერი თავდაცვის მდგომარეობაში არიან, ყველა საშუალებას გამოიყენებენ იმისათვის, რომ ფაშისტური ხელისუფლება ვერ დამკვიდრდეს ჩვენს ტერიტორიაზე".

საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოს არჩევნების შედეგები

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი). შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა შედეგები რესპუბლიკის საბჭოს არჩევნებისა, რომელიც გუშინ გაიმართა. ეს ცნობები მოწმობენ, რომ მემარცხენე პარტიებმა და, კერძოდ, კომუნისტებმა და სოციალისტებმა შეძლეს რამდენადმე გაედიდებინათ თავიანთი წარმომადგენლობა პარლამენტის მეორე პალატაში. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ და სოციალისტურმა პარტიამ დამატებით მიიღეს ორ-ორი ადგილი.

მეტროპოლიის 36 დეპარტამენტში არჩეულია რესპუბლიკის საბჭოს 123 წევრი. ეს ადგილები ასე განაწილდა: კომუნისტური პარტია — 15; სოციალისტური პარტია — 19; სხვადასხვა მემარცხენე დაჯგუფება — 1; რადიკალები — 18; კათოლიკური პარტია „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა" — 13; მემარჯვენე დაჯგუფებანი, რომელთაც „ზომიერებს" უწოდებენ — 37; „სოციალური რესპუბლიკელები" — 20.

კომენტარს უკეთებენ რა რესპუბლიკის საბჭოს არჩევნების შედეგებს, პარიზის პრესის მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მის შემადგენლობას არსებითი ცვლილება არ განუცდია. გაზეთი „ლუმანიტე" აღნიშნავს, რომ ეს არჩევნები მოწმობს დემოკრატიული ძალების მიერ თავისი პოზიციების შენარჩუნებას.

საომარი მოქმედება ალჟირში

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი). პარიზის პრესის ცნობებით, ალჟირში გრძელდება საომარი მოქმედება საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებს შორის.

ორი დღის ბრძოლების შედეგად ჰენშელასა და ბატნას შორის რაიონში მოკლულია 93 ალჟირელი პატრიოტი. საფრანგეთის ჯარების ზარალის შესახებ, ჩვეულებრივ, არაფერს იუწყებიან.



რიწის ტბა და მისი მიდამოები ერთერთი ულამაზესი ადგილია აფხაზეთში. აქ ყოველწლიურად მოდიან ათასობით ტურისტები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებიდან და უცხოეთიდან.

სურათზე: რიწის ტბისა და სასტუმროს ხედი.

ფოტო გ. ვახტანგაძისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ამერიკელ და ქართველ კალათბურთელთა შეხვედრები ეკრანზე

ამერიკელ და ქართველ კალათბურთელთა შეხვედრების შესახებ, რაც ამას წინათ გაიმართა თბილისში, მოუთხრობს მაყურებელს თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის" ახალი კინოჟურნალი „სპორტი" № 2.

ფილმის დასაწყისში მაყურებელი ეცნობა მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა არაერთგზის ჩემპიონების ამერიკელ ვაჟთა და ქალთა გუნდების წევრებს. თბილისის აეროდრომზე სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს დედაქალაქის სპორტსმენებმა. შემდეგ მაყურებელი მათ ხედავს თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

პირველი დღე ამერიკელ და თბილისელ ქალთა გუნდების შეხვედრისა. მაყურებლის თვალწინ ცოცხლდება ასპარეზობის მსვლელობა, თამაშის დაძაბული მომენტები. მეორე დღეს ღამით კი ამავე მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელ და თბილისელ ვაჟთა გუნდები. მიუხედავად სიძნელეებისა, კინოფილმის ოპერატორებმა ლ. არზუმანოვმა, ა. სემიონოვმა, შ. შიოშვილმა და ო. დეკანოსიძემ შეძლეს ფირზე აღებეჭდათ ამ დაძაბული შეხვედრის მსვლელობა. კარგად არის ფილმში ნაჩვენები სტუმრების მაღალტექნიკური თამაში.

უნდა აღინიშნოს, რომ კალათბურთის რეპორტაჟი ეკრანზე პირველად განახორციელეს თბილისის კინოსტუდიის მუშაკებმა. რეჟისორმა ოთარ ჭიაურელმა კარგად დაამუშავა ოპერატორების მიერ მიწოდებული მდიდარი მასალა. ფილმის მონტაჟი დინამიურია. იგი თანმიმდევრულად ასახავს თამაშის მომენტებს, მაყურებლის რეაგირებას, რაც დიდად უწყობს ხელს ფილმის წარმატებას. მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ თითქოს ის სტადიონზე იმყოფება და არა კინოთეატრში.

კინოჟურნალში ნაჩვენებია აგრეთვე ამერიკელ და თბილისელ სპორტსმენთა მეგობრული შეხვედრები.

ფილმისათვის ტექსტი დაწერა მსახიობმა კ. მახარაძემ.

მილიციელმა გავშვი დახრჩობას გადაარჩინა

ამ დღეებში დუშეთის რაიონის სოფელ ბულაჩაურში მდინარე არაგვზე გადებული ხიდის მხრიდან მილიციის უმცროს სერჟანტ იასონ ივანეს-ძე ბანცურს, რომელიც სამსახურის შემდეგ შინ მიდიოდა, ჩოჩქოლი და ყვირილი მოესმა.

მილიციელი სასწრაფოდ გაეშურა იქით და ნახა, რომ ამღვრეულ, აღიდებულ არაგვს ბავშვი მოჰქონდა, ხოლო ნაპირზე მდგომი ხალხიდან ვერავის ვერ გაებედნა ბავშვის გადასარჩენად მდინარეში შესვლა.

ბანცური წუთსაც არ დაფიქრებულა, სასწრაფოდ გაიხადა ტანთ და გადაეშვა აბობოქრებულ მდინარეში. ბავშვი, რომელსაც გონება დაჰკარგოდა, ცოცხალმკვდარი გამოიყვანა ნაპირზე და მას პირველი დახმარება აღმოუჩინა, რის შემდეგ ბავშვი მოათავსეს დუშეთის საავადმყოფოში. აშკამად იგი კარგად არის.

ბავშვი აღმოჩნდა დუშეთის რაიონის სოფელ ბულაჩაურში მცხოვრები 13 წლის თენგიზ ზაქარიას-ძე შალიკაშვილი.

პ. აბუთიძე,
მილიციის პოდპოლკოვნიკი.

სპორტი

საკავშირო ფეხბურთის შეხვედრები ფეხბურთში

ფოთში ტანმარჯვედ იმართებოდა ლენინგრადის „ადმირალტეიცის" ფეხბურთელთა კოლექტივი. საბჭოთა ფეხბურთელებმა აქ ჩაატარეს საერთაშორისო შეხვედრა ქალაქ პორის ნაკრებ გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 3 : 1.

• • •

ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთის „მინერისა" და ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელთა კოლექტივები. შეჯიბრების შედეგია 1 : 0 სტუმართა სასარგებლოდ.

• • •

ოდესის ცენტრალურ სტადიონზე ადგილობრივი „ჩერნომორეცი" ეთამაშა ბულგარეთის „სპტემვრის". შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 2 : 0.

• • •

მოსკოვში უნგრეთის „ვაშაშისა" და მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 2 : 2.

მძლეოსანთა შეჯიბრება ბელგრადში

ბელგრადში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო შეხვედრა მძლეოსნობაში ბელგრადისა და ლენინგრადის გუნდებს შორის.

შეჯიბრება აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების წარმატებით, რომლებმაც უმრავლეს სახეობაში პირველი ადგილები დაიკავეს.

მატჩის შედეგია 136 : 76 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

საჭადრაკო ტურნირები და მატჩი

ივნისში გაიმართება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირები და მატჩი საბჭოთა და საზღვარგარეთის უძლიერეს მოჭადრაკეთა მონაწილეობით.

სოფიის საჭადრაკო ტურნირში მონაწილეთა შორის საბჭოთა კავშირიდან გამოდის ოსტატი ბ. გურგენიძე.

უნგრეთის ტურნირში, რომელიც ჭ. კესტხელეში შედგება, საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას მიიღებს გროსმაისტერი ა. ტოლუში.

დიდ ინტერესს იწვევს საჭადრაკო მატჩი სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა შორის. საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში იქნებიან გროსმაისტერები ი. ბოლესლავსკი, ვ. გელერი, პ. კერესი, ვ. კორჩნოი, ა. კოტოვი, მ. ტალიანოვი და სხვ.

რესპუბლიკური ჩემპიონატი ფარიკაობაში

თბილისში დამთავრდა საქართველოს 1958 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ფარიკაობაში.

მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს შეხვედრები თბილისის პირველი გუნდის მოფარიკავეებმა და საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

ფარიკაობის ცალკეულ სახეობათა მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: რაპირით ბრძოლაში ვაჟთა შორის — ო. კიკალიშვილი, ქალთა შორის—ჯ. ზენაიშვილი; გიორგაძე, დაშნით ასპარეზობაში — რ. ცირეკიძე, ესპადრონით ბრძოლაში — მ. სახვაძე, ხიშტით ასპარეზობაში — გ. დავთიანი.

რედაქტორი პ. რატიანი.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის პროპაგანდისათვის

ლიბანი

პატარა არაბული სახელმწიფო ლიბანი, რომლის ტერიტორია 10,4 ათას კვ. კილომეტრს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა დაახლოებით 1,5 მილიონს, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს.

ლიბანის მეურნეობას უცხოელთა ხანგრძლივმა ბატონობამ მძიმე დაღი დაასვა. მრეწველობა ლიბანში სუსტად არის განვითარებული; სოფლის მეურნეობის ტექნიკური დონე მეტად დაბალია.

გასული წლის გაზაფხულზე ლიბანის ანტიხალხური მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას პრეზიდენტი ქამილ შამუნი, შეუერთდა ამერიკელთა კოლონიზატორულ „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინას", რამაც ლიბანი მჭიდროდ დაუკავშირა ბაღდადის აგრესიულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს, და ლიბანის ტერიტორია თავისებურ თავშესაფრად იქცა დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარი არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან განდევნილი სხვადასხვა ჯურის რეაქციული ელემენტებისათვის.

„დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინის" მიღებამ კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში ჩაყარა ლიბანის ეკონომიკა, დაუქვემდებარა იგი ამერიკელ მონოპოლისტებს.

ლიბანის პროგრესული საზოგადოებრიობა მკვეთრად ილაშქრებდა „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინის" წინააღმდეგ და მოითხოვდა, რომ ლიბანის მთავრობას უარი განეცხადებინა ამერიკელთა ამ კოლონიზატორულ დოქტრინაზე. ამერიკელთა კოლონიზატორული პოლიტიკისა და მთავრობის ანტიხალხური ღონისძიებების მკვეთრი კრიტიკით გამოდიოდა ლიბანის გაზეთი „ტელეგრაფი".

მიმდინარე წლის 7 მაისს რეაქციულმა ელემენტებმა მოკლეს ლიბანელი პატრიოტი გაზეთ „ტელეგრაფის" მთავარი რედაქტორი ნასიბ მეთნი, რომელიც თავის გაზეთში თანმიმდევრულად ამხილებდა „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინის" კოლონიზატორულ ხასიათს.

ნასიბ მეთნის მოკვლამ აავსო ლიბანელი ხალხის მოთმინების ფიალა. 12 მაისს ლიბანის მთელ ტერიტორიაზე საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა: ქალაქებსა



და სოფლებში გაიმართა ხალხმრავალი სპარტაქტული მიტინგები და დემონსტრაციები. ხოლო ნასიბ მეთნის დაკრძალვა ნამდვილ ანტიიმპერიალისტურ დემონსტრაციად გადაიქცა.

ლიბანის რეაქციულმა მთავრობამ სროლა აუტეხა მშვიდობიან დემონსტრანტებს. ძალადობას ხალხმა ძალითვე უპასუხა, და ქვეყანა ფაქტიურად სამოქალაქო ომის ალმა მოიცვა. პროგრესული ორგანიზაციები და პარტიების ლიდერები სათავეში ჩაუდგნენ სახალხო მოძრაობას. ხალხმა ხელთ იგდო იარაღის მაღაზიები და შეიარაღდა. სახალხო მოძრაობამ მოიცვა მთელი ლიბანი. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ქვეყნის მთიანი რაიონები და აქედან ესხმიან თავს მთავრობის ჯარებს.

აჯანყებულები და ოპოზიციური პარტიები მოითხოვენ პრეზიდენტ ქამილ შამუნის გადადგომას, პარლამენტის ახალი არჩევნების დანიშვნას და „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინიზე" უარის თქმას.

ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ გაჯირვებული მდგომარეობიდან იხსნან ქამილ შამუნის რეაქციული მთავრობა. უცხოეთის პრესის ცნობებით ამერიკული თვითმფრინავებით ლიბანში საჭაროდ ჩააქვთ ამერიკული იარაღი, ტანკები და ჯავშნიანი მანქანები. ამავე დროს ბიდადის პაქტის მონაწილე ქვეყნების, თურქეთისა და ერაყის ჯარების კონცენტრაცია ხდება ლიბანის მეზობელ სირიის საზღვრებთან, ხოლო ამერიკისა და ინგლისის სამხედრო ხომალდები დაცურავენ ლიბანის სანაპიროებთან, რათა „საჭიროების შემთხვევაში" გადასხან დესანტი ლიბანში და სისხლში ჩაახრჩონ სახალხო მოძრაობა.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოტყუების, იმპერიალისტთათვის ლიბანის საქმეებში ჩარევის საშუალების მიცემის მიზნით ქამილ შამუნის მთავრობამ მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საჩივრით, რომელშიც ცდილობს ლიბანელი ხალხის ანტიიმპერიალისტური ბრძოლა გამოაცხადოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის „ჩარევად" ლიბანის საქმეებში. ამავე დროს ქამილ შამუნის მთავრობამ 24 მაისს სხდომაზე გამოიტანა გადაწყვეტილება — რადაც უნდა დაუჯდეს სისხლში ჩაახრჩოს სახალხო მოძრაობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში საჩივრის შეტანით ლიბანის მთავრობამ დაარღვია არაბული სახელმწიფოების ლიგის წესდება, რომლის თანახმადაც არაბულ ქვეყნებს შორის წარმოშობილი ყოველი კონფლიქტი ჯერ უნდა განიხილოს არაბული სახელმწიფოების ლიგამ, ხოლო თუ მან ვერ შეძლო კონფლიქტის მოწესრიგება, მხოლოდ მაშინ შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეებს მიმართონ უშიშროების საბჭოს.

ლიბანის ოპოზიციური ეროვნული ფრონტის ლიდერმა სალიბ სალამმა განაცხადა: „...სავსებით ყალბია იმის მტკიცება, რომ ლიბანელი ხალხის აჯანყება კონსტიტუციისა და თავისი უფლებების დასაცავად ვითომდა გამოწვეულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს მიერ... ამგვარი ბრალდება უნდა წავუყენოთ იმ ლიბანელ ოფიციალურ პასუხისმგებელ პირებს, რომელნიც, როგორც ჩანს, მზად არიან მოიწვიონ უცხოელები ჩვენი სამშობლოს საშინაო საქმეებში ჩასარევად".

თითქმის ერთი თვეა ლიბანელი ხალხი გმირულად იბრძვის ქამილ შამუნის რეაქციული მთავრობის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა აჯანყებულთა წინააღმდეგ იყენებს ტანკებს, არტილერიას და ავიაციას, მან ვერ შეძლო აჯანყებულთა პოზიციების შევიწროება. აჯანყებულებს კვლავ მტკიცედ უჭირავთ ხელში ქვეყნის მთავარიანი რაიონები, და რამდენიმე ქალაქი. შეიარაღებული შეტაკებები გრძელდება ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში.

უცხოეთის პრესის ცნობებით, მიღწეულია შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებსა და თურქეთის, ერაყის და იორდანიის რეაქციულ მთავრობათა შორის, რომლის თანახმად ქამილ შამუნის მთავრობის გადასარჩენად შეერთებული შტატები გამალებით აწვდიან იარაღს ლიბანის მთავრობას, ხოლო ერაყისა და იორდანიის ჯარები საჩქაროდ გადაჰყავთ ლიბანში; ამავე დროს ხდება თურქეთის ჯარების კონცენტრაცია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის საზღვრებთან.

ამასთანავე ლიბანის მთავრობამ ამას წინათ მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რათა ამერიკამ შეიყვანოს თავისი ჯარები ლიბანის ტერიტორიაზე, რადგან, მიუხედავად მიღებული ზომებისა, ქამილ შამუნის მთავრობას არ ძალუძს შეინარჩუნოს ძალაუფლება უცხოელთა ჩაურევლად.

ა. წ. 19 მაისს გამოქვეყნდა საკდესის განცხადება ლიბანის აბებთან დაკავშირებით, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ლიბანის საშინაო საქმეებში რომელიმე უცხო სახელმწიფოს ჩარევა საშიშროებას შეუქმნის მშვიდობას და შექმნის ომის საზიფათო კერას ამ რაიონში.

შ. ხოსიტაშვილი.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ჩიო-ჩიო-სან (მე-6 ამ. 1-ლი წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — სპპატარძლო ალიშინ, **მარჯანიშვილის სახელობის** — რიჩარდ მესამე, **გრიბოედოვის სახელობის** — მეექვსე სართული, **ხომ-ხური დრამის** — ფარპად და შირინი, **მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, **ფილარმონიის ხაზაფხულო თეატრი** — საესტრადო ორკესტრი ბორის რენსკის ხელმძღვანელობით (9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ოქტომბერი, ინანი** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი, ფილარმონიის ბაღი** — სამი სარკე, **ამირანი** (საზაფხულო), **კოლხიდა** (საზამთრო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ლოვისა, **ინანი** (საზაფხულო) — ირსენა, **სპარტაკი** — ჭიქალუდი, **თბილისი** — დიდი ქალაქის გარეუბანში, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი, დიდუბე** (საზამთრო), **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — გულის სამახსოვრო, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ბაიკუბავრა, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი** — ყალბი სათაყვანო, **საქართველო** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზაფხულო) — ჩიტების გამყიდველი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — მე შევხვდი ქალიშვილს, **კოლმეურნე** — ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის განყოფილება — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — აგროქიმიკოსი — 2; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — ნიადაგმცოდნე — 1;

2. მცენარეთა დაცვის განყოფილება — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — ტოქსიკოლოგი — 1;

3. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა — ორგანიზაციის განყოფილება — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი აგრო-ეკონომისტი — 1;

4. ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1;

5. ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის სელექციისა და ჯაფთამცოდნეობის განყოფილება — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ძევენახე-სელექციონერი — 1;

6. ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის აგროტექნიკის განყოფილება — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - მეხილე — 1;

7. ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის მეღვინეობის განყოფილება — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — ღვინის ტექნოლოგი — 1;

8. ინსტიტუტის საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგე. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1;

9. ინსტიტუტის საქარის საცდელი სადგურის აგროტექნიკის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1;

10. ინსტიტუტის საქარის საცდელი სადგურის აგროქიმიის ლაბორატორიის გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1;

11. ინსტიტუტის სოხუმის დასაყრდენი პუნქ